სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების

მოსწავლეთა მეხუთე კონფერენცია

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ორგანიზატორი:

სსიპ წალკის N1 საჯარო სკოლა

მხარდამჭერები:

მასწავლებლის სახლი

წალკის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

ჩატარების დრო და ადგილი:

20 .04. 2023. 15 საათი; სსიპ წალკის N 1 საჯარო სკოლა

კონფერენციის თემა: „გამოჩენილი ადამიანები“

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ წალკის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებს. თემების წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგ საგნებსა და მიმართულებებში: ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, რუსული ენა, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ისტორია, სპორტი, ხელოვნებათმცოდნეობა (მხატვრობა, მუსიკა), ფსიქოლოგია, სამოქალაქო განათლება.

საკონფერენციო ნაშრომის მოთხოვნები

- *ნაშრომი უნდა ასახვდეს ერთიგამოჩენილი, წარმატებული ადამიანის მოკლე ბიოგრაფიას;*
- *როგორ გახდა ცნობილი; როგორ მიაღწია წარმატებას;*
- *ინფორმაცია მისი აღიარებული საქმიანობის შესახებ - მაგ.: ნაწარმოები, აღმოჩენა, სამშობლოს წინაშე დამსახურება, ტოლერანტობა, მიღწევა მეცნიერების ამა თუ იმ სფეროში და სხვა.*
- *ნაშრომი შესაძლებელია უკავშირდებოდეს ერთ რომელიმე საგანს ან საგანთა ჯგუფს.*
- *ნაშრომში უნდა ჩანდეს კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (მიზნებთან).*

საკონფერენციო ნაშრომმა უნდა წარმოაჩინოს მოსწავლეთა აზროვნების, პრობლემის ხედვის და გადაჭრის შეფასების უნარი. მოსწავლის მიერ არგუმენტაციის, ანალიზის და სინთეზის უნარი.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს

- ხელმძღვანელთან კონსულტირების შემდეგ დამოუკიდებელი ნაშრომის პრეზენტაცია
- ინფორმაციის მოძიება და ინფორმაციის ირგვლივ კრიტიკული აზროვნება
- ნაშრომის არგუმენტირებულად დაცვა

თემას შეიძლება ჰყავდეს

ერთი ავტორი ან ავტორთა ჯგუფი. ჯგუფურ ნაშრომში მითითებული უნდა იყოს თითოეული მონაწილის როლი.

კონფერენციის მიზანი

- მოსწავლეებს განუვითარდეთ დამოუკიდებლად მუშაობის და ნაშრომის საჯაროდ პრეზენტაციის უნარი;

- არჩეული თემის ირგვლის შეიძინონ ღრმა თეორიული ცოდნა;

- გაუღვივდეთ მოტივაცია, თავადაც გახდნენ წარმატებულნი;

საკონფერენციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია:

- ნაშრომის ორიგინალურობა;
- ნაშრომის შინაარსი: თანმიმდევრული მსჯელობა, არგუმენტირებული დასკვნები;
- მოძიებული ინფორმაციის შედარებითი და კრიტიკული ანალიზი;
- პრობლემის ხედვა და შეფასება;
- ნაშრომის ენა და სტილი, ტექნიკური მხარის სისწორე.

რეგლამენტი:

თემის პრეზენტაციისთვის განკუთვნილის 7- 10 წუთი

შეფასება:

მოსწავლეებს აფასებს ჟიური. შედეგები გამოცხადდება კონფერენციის დასრულების შემდეგ.

დაჯილდოება

საპრიზო ადგილზე გასული მოსწავლეები დაჯილდოვდებიან სიგელებით. ასევე მადლობის წერილებს მიიღებენ გამარჯვებული მოსწავლეების ხელმძღვანელი პედაგოგები.

ჟიური:

ჟიურის შემადგენლობა აირჩევა სკოლებთან კონსულტაციის მიხედვით.

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა გთხოვთ, 18 თებერვლამდე წარმოადგინოთ

- საკონფერენციო თემის დასახელება
- საგანი
- მოსწავლეების და ხელმძღვანელების სახელი და გვარი.

პრეზენტაციები კი უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 18 მარტს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

599335675 ნესტან მიქაძე

ელექტრონული ფოსტა:

nestanmiqadze@gmail.com

mikadze.nestani@teachers.gov.ge

შეფასების რუბრიკა

სახელი, გვარი	კრიტერიუმები	1 ქულა	2 ქულა
1.	თემის აქტუალობა და ნააშრომის ხასიათი		
2.	ფაქტობრივი მასალის ფლობა, პრობლემის ხედვა და ანალიზი		
3.	არგუმენტირებისა და დასკვნის უნარი		
4.	ნაშრომის ენობრივი, ტექნიკური და სტილისტური გამართულობა		
5.	შემოქმედებით აზროვნების, ანალიზის, სინთეზის უნარი		
6.	პრეზენტაციის უნარი		

ჯამი			

სკოლის დირექტორი: მ. ბერიანიძე